



პაციენტის და მომვლელის სწავლება

თქვენი ქირურგიული ოპერაცია "ჯოსი რობერტსონის სახელობის (JRSC) MSK-ის ქირურგიის ცენტრში"

ეს ინფორმაცია აღწერს, თუ რას უნდა ელოდოთ ოპერაციამდე, ოპერაციის დროს და მის შემდეგ "ჯოსი რობერტსონის სახელობის (JRSC) MSK-ის ქირურგიის ცენტრში". წაიკითხეთ ეს ოპერაციამდე. დაუბრუნდით ამ ინფორმაციას ოპერაციის დღეს, რათა იცოდეთ რა უნდა გააკეთოთ და რას უნდა ელოდოთ. გახსოვდეთ, რომ ასევე წაიკითხოთ საგანმანათლებლო მასალები, რომლებიც თქვენმა ექთანმა გადმოგცათ.

JRSC არის ამბულატორიული ქირურგიის ცენტრი. თქვენი მოვლა აქ იქნება მორგებული თქვენს ოპერაციას და სპეციალურად თქვენთვის გამიზნული. ჩვენ ყოველ ეტაპზე აგიხსნით, თუ რას უნდა უნდა ელოდოთ.

თქვენს ქირურგიულ ოპერაციამდე

მიიღებთ კითხვარების სერიას თქვენს MSK MyChart-ში ან ელ.ფოსტის ანგარიშზე ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ. მათში იქნება კითხვები თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და JRSC-ში თქვენს გამოცდილებაზე. თუ უკვე არ გაქვთ MSK MyChart ანგარიში, უმჯობესია დარეგისტრირდეთ ოპერაციამდე.

MSK MyChart-ის გამოყენება

MSK MyChart (mskmychart.mskcc.org) წარმოადგენს MSK-ის პაციენტების პორტალს. ეს პორტალი დაგეხმარებათ გაგზავნოთ და მიიღოთ შეტყობინებები თქვენი მკურნალი ექიმისგან, ნახოთ ანალიზების

შედეგები, გაიგოთ ექიმთან ვიზიტის თარიღი, დრო და სხვა. ასევე შეგიძლიათ შესთავაზოთ თქვენს მომვლელს შექმნას საკუთარი ანგარიში თქვენი მკურნალობის შესახებ ინფორმაციის სანახავად.

თუ არ გაქვთ MSK MyChart-ის ანგარიში, შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ აქ mskmychart.mskcc.org. მოწვევის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თქვენს მკურნალთა გუნდს.

ტექნიკური დახმარებისთვის დარეკეთ MSK MyChart Help Desk-ს, ნომერზე 646-227-2593. ისინი ორშაბათიდან პარასკევამდე, დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე მუშაობენ.

ოპერაციის დღე

რა უნდა იქონიოთ თან

- დანიშნულების ბარათი, თუ გსურთ თქვენი რეცეპტების შევსება JRSC-ში.
- ჰიგიენის საშუალებები, განსაკუთრებით იმ შემთხვევისთვის, თუ დაგჭირდებათ ადგილზე ღამის გათენება ოპერაციის შემდეგ.
- ტანსაცმელი, რომელიც უნდა ჩაიცვათ, როდესაც ტოვებთ JRSC-ს თქვენი ოპერაციის შემდეგ. ჩვენ გადმოგცემთ საავადმყოფოს კაბას, ხალათს და მოცურების საწინააღმდეგო წინდებს, რომ ჩაიცვათ JRSC-ში ყოფნისას.
 - თქვენმა ამბულატორიულმა ექთანმა შეიძლება გაგაფრთხილოთ, რომ კონკრეტული ტიპის ტანსაცმელი მოიტანოთ. მაგალითად, მან შეიძლება გითხრათ, რომ მოიტანოთ ღილებიანი პერანგი ან ელასტიურწელიანი შარვალი. მიჰყევით მათ მიითითებებს.
- თქვენი ტელეფონი ან ტაბლეთი და მისი დამტენი.
- უმჯობესია, სხვა ძვირფასი ნივთები დატოვოთ სახლში ან თქვენს მომვლელთან ან მნახველთან. ამაში იგულისხმება სამკაულებიც.
- ბალიში, რომ მანქანით სახლამდე კომფორტულად იმგზავროთ, თუ გსურთ.

წაიკითხეთ პაციენტისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო მასალები, რომლებიც მიიღეთ კლინიკაში ან MSK MyChart-ში. მათში შეიძლება ჩამოთვლილი იყოს სხვა ნივთები, რომლებიც უნდა მოაყოლოთ ცენტრში.

თუ თქვენ აპირებთ ღამის გათევას JRSC-ში, 1 მომვლელს ან მნახველს შეუძლია დარჩეს თქვენთან ერთად. მათ ასევე უნდა ჩაილაგონ ჩანთა ჰიგიენის იმ ნივთებითა და ტანსაცმლით, რომელიც დასჭირდებათ.

იშვიათად, ჩვენ უნდა გადავიტანოთ ოპერაცია JRSC-დან “მემორიალ ჰოსპიტალში”, რომელიც MSK-ის მთავარი საავადმყოფოა. თუ ეს მოხდება, თქვენმა მომვლელმა ან მნახველმა შეიძლება ვერ შეძლოს თქვენთან ერთად ღამისგათევა. თქვენზე მზრუნველი ჯგუფი მოგანვდით მეტ ინფორმაციას.

სად უნდა მოხვიდე

JRSC-ის მისამართია:

1133 იორკის გამზირი (აღმოსავლეთის 61-ე და აღმოსავლეთის 62-ე ქუჩებს შორის)

ნიუ-იორკი, NY 10065

JRSC-ს აქვს სატრანსპორტო ბილიკი, რომელთანაც ავტომანქანებიდან პაციენტების უსაფრთხოდ გადმოსხმა ხდება. თქვენ შეგიძლიათ მოხვდეთ სატრანსპორტო ბილიკზე იორკის გამზირის სამხრეთით მიმავალი შესახვევიდან.

თუ თქვენ ჩამოხვალთ ეფდირ დრაივის ან იორკის გამზირის ჩრდილოეთით მიმავალი შესახვევიდან, მოუხვიეთ მარცხნივ 61-ე ქუჩაზე. წრე დაარტყით კვარტალს, რომ შეძლოთ შეხვევა სამხრეთით მიმავალ იორკ ავენიუზე და არ გაცდეთ შესასვლელს.

სად უნდა გააჩეროთ ავტომობილი

MSK-ს პაციენტებს და მნახველებს შეუძლიათ დაჯავშნონ პარკინგი JRSC-ის გვერდით მდებარე ავტოფარეხში. მისი მისამართია:

425 E. 61-ე ქუჩა (იორკსა და 1-ლ გამზირებს შორის)

ნიუ-იორკი, NY 10065


შესასვლელი არის მხოლოდ JRSC-ს გვერდით ჩავლის შემდეგ ქუჩის მარჯვენა მხარეს.

ენჯიეთ www.msk.org/parking, რომ გაიგოთ როგორ დარეგისტრირდეთ და დაჯავშნოთ. პარკირების ვარიანტების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ 646-888-7100.

JRSC-სთან ახლოს არის რამდენიმე სხვა ავტოფარეხი. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე.

- 1113 იორკის გამზირი (იორკის გამზირის და 61-ე ქუჩის კუთხეში)
ნიუ იორკი, NY 10065
შესასვლელი არის 61-ე ქუჩაზე, ქუჩის მარცხენა მხარეს.
- 501 E. 61-ე ქუჩა (ეფდიარ დრაივის ან იორკის გამზირს შორის)
ნიუ-იორკი, NY 10065
- 403 E 60-ე ქ. (1-ლი და იორკის გამზირებს შორის)
ნიუ-იორკი, NY 10065

MSK-ს არ აქვს კავშირი ამ ავტოფარეხებთან. დამატებითი ინფორმაციისთვის პირდაპირ დაურეკეთ მათ.



სურათი 1. MSK-ის პარკირების ავტოფარეხი (ცისფერი) და სხვა მიმდებარე ავტოფარეხები (მომწვანო).

რეგისტრაცია JRSC-ში

JRSC-ში შესვლისას კარისკაცი მოგესალმებათ. იგი გაგგზავნით მე-3 სართულზე, რეგისტრაციის სივრცეში.

მე-3 სართულზე ასვლისას მიიღებთ ცისფერ სამკერდე ნიშანს. თუ თქვენთან გახლავთ მომვლელი ან მნახველი, ისინი მიიღებენ ყვითელ სამკერდე ნიშანს. ეს სამკერდე ნიშნები ეხმარება თქვენს მოვლის გუნდს, მოგძებნონ თქვენ და თქვენი მომვლელი, რათა შეძლონ თქვენი პროგრესის შესახებ სიახლეების გაზიარება.

ჩვენ მოვითხოვთ იმ პირის სახელს და საკონტაქტო ინფორმაციას, ვინც სახლში წაგიყვანთ ოპერაციის შემდეგ. ამ ადამიანს შეუძლია გაგვიზიაროს თავისი ტელეფონის ნომერი, რათა მიიღოს სიახლეები ტექსტური შეტყობინებების სახით ოპერაციამდე, ოპერაციის დროს და მის შემდეგ.

რას უნდა ელოდოთ წინასაოპერაციო ცენტრში

თქვენზე მზრუნველი ჯგუფის წევრი აგიყვანთ მე-6 სართულზე არსებულ წინასაოპერაციო ცენტრში, როდესაც ისინი მზად იქნებიან თქვენს მისაღებად. თქვენს მომვლელს ან მნახველს შეუძლია დარჩეს თქვენთან

მანამ, სანამ თქვენ წაგიყვანენ საოპერაციო ოთახში.

წინასაოპერაციო ცენტრში გადაიცვამთ კაბას, საავადმყოფოს ხალათს და მოცურების საწინააღმდეგო წინდებს. ჩვენ მოგცემთ ჩანთას თქვენი ტანსაცმლის, ტელეფონის, სათვალის და სხვა ნივთების შესანახად. თქვენი ოპერაციის დროს, ჩვენ შევინახავთ ამ ჩანთას ჩაკეტილ კარადაში და მოგიტანთ თქვენს სარეაბილიტაციო ოთახში.

თქვენ შეხვდებით თქვენზე მზრუნველ გუნდს წინასაოპერაციო ცენტრში. ისინი გადახედავენ თქვენს სამედიცინო ისტორიას და უპასუხებენ თქვენს შეკითხვებს. უთხარით მათ, თუ გაქვთ რაიმე დიეტური შეზღუდვა, მაგალითად, თუ მიირთმევთ კოშერულ ან გლუტენის გარეშე საკვებს ან ვეგეტარიანული ბრძანდებით. ისინი უზრუნველყოფენ, რომ მიიღოთ თქვენთვის საჭირო საკვები და სასმელები.

თქვენი ექთანი მიგიყვანთ საოპერაციო ოთახში, როდესაც ოპერაციის დრო დადგება.

ინფორმაცია მომვლელებისა და მნახველებისთვის



ჩვენ ზოგჯერ ვაახლებთ მნახველების პოლიტიკას, რათა უზრუნველყოთ ჩვენი პაციენტებისა და პერსონალის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. უახლესი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: www.msk.org/visit.

როდესაც პაციენტს საოპერაციოში მივიყვანთ, თქვენ დაბრუნდებით მე-3 სართულზე მოსაცდელში. მოსაცდელს აქვს Wi-Fi, დამტენი სადგურები და ეკრანები, რომლებიც გიჩვენებენ განახლებებს ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ. ასევე არის კაფე, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ საჭმელი, სასმელები და საჩუქრები.

როდესაც ეს შესაძლებელი იქნება, შუამავალი მედდა მოგაკითხავთ მოსაცდელ ზონაში, რათა გაგიზიაროთ განახლებები ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ. ოპერაციის შემდეგ, როდესაც ვიზიტორებისთვის მზად იქნებიან, პერსონალი მიგიყვანთ პაციენტის სარეაბილიტაციო ოთახში.

ოპერაციის შემდეგ

JRSC-ში

თქვენზე მზრუნველი გუნდის წევრი მიგიყვანთ თქვენს პირად სარეაბილიტაციო ოთახში მე-4, მე-5 ან მე-6 სართულზე. თქვენზე მზრუნველი გუნდი მოიყვანს თქვენს მომვლელს ან მნახველს თქვენს ოთახში, როდესაც თქვენ მზად იქნებით ვიზიტორების მისაღებად.

როდესაც გაიღვიძებთ, თქვენი ექთანი შეასრულებს შემდეგს:

- წაგახალისებთ, რომ იაროთ.
- შემოგთავაზებთ რაიმე საჭმელს და სასმელს, თუ ეს ნებადართულია ოპერაციის შემდეგ.
- თქვენთან ერთად გადახედავს თქვენი გამონადენის ინსტრუქციებს.
- უპასუხებს თქვენს კითხვებს.

თქვენი ოთახიდან თქვენ შეძლებთ:

- დაუკავშირდეთ თქვენზე მზრუნველ გუნდს.
- უყუროთ ან მოუსმინოთ მუსიკალურ არხებს ტელევიზორში.
- გამოიყენოთ თქვენი სმარტფონი ან ტაბლეტი ვიდეო და აუდიო ზარების განსახორციელებლად და მუსიკის მოსასმენად.

თქვენი ოპერაციიდან გამომდინარე, შეგიძლიათ დარჩეთ JRSC-ში 1 ღამე. თქვენს ოთახს ექნება დასასვენებელი სკამი ან საძილე ადგილი, რათა 1 მომვლელი ან მნახველი დარჩეს თქვენთან.

თუ თქვენზე მზრუნველი გუნდი თვლის, რომ საჭიროა მეტხანს დარჩენა, თქვენ გადაგიყვანენ “მემორიალ ჰოსპიტალში”, MSK-ს მთავარ საავადმყოფოში. იგი მდებარეობს 1275 იორკის გამზირზე, აღმოსავლეთ 67-ე და აღმოსავლეთ 68-ე ქუჩებს შორის.

სახლში

მზრუნველი ჯგუფის წევრები დაგირეკავენ მას შემდეგ, რაც სახლში

წაბრძანდებით. ისინი გკითხავენ, თუ როგორ გრძნობთ თავს და უპასუხებენ თქვენს შეკითხვებს.

შეავსეთ თქვენი რეაბილიტაციის დღიური

ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, როგორ გრძნობთ თავს JRSC-ს დატოვების შემდეგ. ჩვენ ვგზავნით კითხვებს თქვენს MSK MyChart ანგარიშზე ყოველ დღე ოპერაციიდან 5-10 დღის განმავლობაში, რათა დაგვეხმაროთ თავის მოვლაში. ამ კითხვარებს რეაბილიტაციის დღიური ეწოდება.

შეავსეთ რეაბილიტაციის დღიური ყოველ დამე, 12 საათამდე. ეს მხოლოდ 2-3 წუთს წაგართმევთ. ამ კითხვარზე პასუხები დაგვეხმარება გავიგოთ, როგორ გრძნობთ თავს და რა გესაჭიროებათ.

თქვენი პასუხებიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება დაგიკავშირდეთ დამატებითი ინფორმაციისთვის ან გთხოვოთ დარეკოთ თქვენი ქირურგის ოფისში. თქვენს ქირურგს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ყოველთვის, როდესაც რაიმე კითხვა გექნებათ.

თქვენი რეაბილიტაციის დღიურის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, უყურეთ ქვემოთ მოცემულ ვიდეოს.



Please visit www.mskcc.org/ka/cancer-care/patient-education/video/about-your-recovery-tracker to watch this video.

If you have questions or concerns, contact your healthcare provider. A member of your care team will answer Monday through Friday from 9 a.m. to 5 p.m. Outside those hours, you can leave a message or talk with another MSK provider. There is always a doctor or nurse on call. If you're not sure how to reach your healthcare provider, call 212-639-2000.

დამატებითი რესურსებისთვის ეწვიეთ www.mskcc.org/pe ჩვენი ვირტუალური ბიბლიოთეკის მოსაძიებლად.

Your Surgery at MSK's Josie Robertson Surgery Center - Last updated on October 11, 2024
ყველა უფლება ეკუთვნის და დაცულია Memorial Sloan Kettering Cancer Center-ის მიერ